საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030157916461621

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/6762 **10 / მაისი / 2021 წ.**

საქართველოს პარლამენტის
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ
საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ დიმიტრი ხუნდაძეს

ბატონო დიმიტრი,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან ერთად განიხილა თქვენი 2021 წლის 1-ლი აპრილის № 31860 წერილით გადმოგზავნილი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის პეტიცია ყველა სახის სამომხმარებლო პროდუქციაზე უსაფრთხოების კონტროლის დაწესების მოთხოვნით.

როგორც მოგეხსენებათ, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მე-9 მუხლის შესაბამისად, „მწარმოებელი ვალდებულია ბაზარზე განათავსოს მხოლოდ უსაფრთხო პროდუქტი“, ამასთან, მან „არ უნდა გაავრცელოს ისეთი პროდუქტი, რომელიც, მის ხელთ არსებული ინფორმაციისა და ცოდნის საფუძველზე, არ შეესაბამება უსაფრთხოების სავალდებულო მოთხოვნებს“, პროდუქტის უსაფრთხოების მოთხოვნები კი განისაზღვრება ტექნიკური რეგლამენტებით.

გაცნობებთ, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ახორციელებს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების დაახლოების პროცედურებისთვის საჭირო ღონისძიებებს კომპეტენციის შესაბამისად; აღნიშნული თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ შემუშავებულია „საქართველოში ტყვიის ტოქსიკური ზემოქმედების კონტროლის სტრატეგიისა და ერთიანი მულტისექტორული ხანგრძლივვადიანი სამოქმედო გეგმის“ პროექტი, რომელიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ამოცანას, როგორიცაა „ტყვიისაგან თავისუფალი სამომხმარებლო პროდუქციის წარმოება და მიწოდება“, აღნიშნული ამოცანის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი აქტივობები:

- კოსმეტიკური ნაწარმისა და ჰიგიენის საშუალებების ტყვიით კონტამინაციის/დაბინძურების რუტინული მონიტორინგის სისტემის ამოქმედებისათვის საკანონმდებლო საფუძვლების შექმნა;
- კოსმეტიკური ნაწარმისა და ჰიგიენის საშუალებების ტყვიით კონტამინაციის/დაბინძურების რუტინული მონიტორინგის სისტემის ამოქმედებისათვის ლაბორატორიული შეფასების შესაძლებლობების შექმნა და გაძლიერება;
- კერამიკულ და ფაიფურის ნაწარმში ტყვიის შემცველობის დასაშვები დონეების განმსაზღვრელი რეგულაციების ამოქმედება;
- კერამიკულ და ფაიფურის ნაწარმში ტყვიის შემცველობის შეფასებისა და რუტინული მონიტორინგის სისტემის ამოქმედება;
- სათამაშორში ტყვიის შემცველობის შეფასებისა და რუტინული მონიტორინგის სისტემის ამოქმედება;
- წყალმომარაგებაში გამოყენებულ მასალებში ტყვიის შემცველობის ამკრძალავი კანონმდებლობის ამოქმედება და საცხოვრებელი შენობის შიგნით არსებული წყალმომარაგების სისტემების შეფასება ტყვიის შემჩველობაზე;
- სამომხმარებლო პროდუქციის ბაზრის სკრინინგი ტყვიაშემცველი პროდუქციის არსებობაზე და მოსახლეობისადმი ანგარიშგება, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობისათვის;
- იმ საგამომცემლო და ბეჭდვითი საწარმოების გამოვლენა, შეფასება და მონიტორინგი, სადაც ტყვიაშემცველი საღებავები გამოიყენება ბეჭდვისას.

ეს აქტივობები, რა თქმა უნდა, მიმართულია კონკრეტულად ტყვიის ზემოქმედების რისკების შემცირებისკენ, თუმცა პროდუქციის უსაფრთხოების მონიტორინგისთვის საკანონმდებლო რეგულაციების შექმნა მოიცავს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებისა და ევროკავშირის მოთხოვნების საფუძველზე პროდუქციის ქიმიური შეადგენლობის მარეგლამენტირებელი დოკუმენტების შექმნას და შესაბამისი მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის ამოქმედებას.

ასევე უნდა აღნიშნიშნოს, რომ როგორც სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების, ისე „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“ განსაზღვრული საზედამხედველო მექანიზმების შემუშავება/სრულყოფა, მიზანშეწონილია, განხორციელდეს მულტისექტორული ჩართულობით, მათ შორის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროებთან თანამშრომლობით.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სამინისტრო მიესალმება ადამიანის ჯანმრთელობაზე სამომხმარებლო პროდუქციის მავნე ზემოქმედების რისკების გამოვლენისა და შემცირების მიმართულებით აქტივობების დაწყებას და გამოთქვამს მზაობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მინისტრის პირველი მოადგილე

თამარ გაბუნია